პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
17
დეკემბერი
№ 293
(16419)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია გახსნილად ჩაითვალოს. სესია გაიხსნება დღეს, 17 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს 17 დეკემბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

16 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ პლენუმის დადგენილებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან“.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმის პროექტის შესახებ ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. მ. ჯაფარიძემ.

საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ამხ. შ. ა. ანანიაშვილმა.

პლენუმის დღის წესრიგის საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. რ. პაპუნიძე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მ. ხინობა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ი. გ. ხაზარაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. ს. სანაკოევი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გ. გ. აბაშიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. თ. ლოგჟანიძე, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. დ. რუხაძე, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავი ამხ. ვ. კ. რიჟოვა-ოზგეთელაშვილი.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა, რომლებიც საქართველოს ყველა კომუნისტის, მშრომელის ფიქრებსა და გრძნობებს გამოხატავდნენ, მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დებულებანი და დასკვნები, რომლებიც მოცემულია პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში. პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ დადგენილება XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრკ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა“ შესახებ და თვით პროექტი გამოხატავენ პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს, მის მიერ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობის კურსის თანამიმდევრულ განხორციელებას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა რესპუბლიკაში მთელი ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, სამეურნეო მუშაობა დავუქვემდებაროთ იმ ამოცანათა უთუო შესრულებას, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან და დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა პროექტში.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად იწონებენ და უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დღის წესრიგი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ვ. ვ. ვასილიევი. (საქინფორმი).

ხუთწლედი — ვადამდე!

აჭარის მშრომელთა ნარმატება

აჭარის ასსრ მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ვადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედი. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმა შესრულდა 1975 წლის 4 ნოემბერს.

პირველთა შორის ხუთწლედი შეასრულეს ელექტრომექანიკური, ნავთობგადასამუშავებელი, ელექტროხელსაწყოების, მანქანათასაშენებელი, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნების კოლექტივებმა.

პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 31,4 პროცენტით ხუთწლედის დავალებით გათვალისწინებული 27,4 პროცენტის ნაცვლად.

(საქინფორმი).

კუბის კომუნისტური პარტიის I ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ დირსშესანიშნავ დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კომუნისტების მრავალმილიონიანი რაზმისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალე ძმურ სალამს გითვლთ თქვენ, კუბის კომუნისტური პარტიის I ყრილობის დელეგატებს, ყველა კომუნისტს, კუბის რესპუბლიკის მშრომელებს და გისურვებთ წარმატებებს უმაღლესი პარტიული ფორუმის მუშაობაში.

კუბის კომუნისტური პარტია, რომელიც განაგრძობს და ავითარებს პირველი მარქსისტულ-ლენინური პარტიისა და ქვეყნის სხვა რევოლუციური რაზმების საბრძოლო ტრადიციებს, გადაიქცა ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად, გახდა აღიარებული ავანგარდი დასავლეთ ნახევარსფეროში ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. კუბის კომუნისტური პარტიის I ყრილობა ისტორიული მოვლენაა კუბის რევოლუციის თანამიმდევრულ და განუხრელ განვითარებაში.

ამხანაგ ფიდელ კასტროსა და მის თანამებრძოლთა გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა მონკადის, „გრანმას“ და სიერა-მაესტრას გმირებმა, კუბის მთელმა თანამიმდევრულმა რევოლუციურმა ძალებმა გაბედულად აიღეს ხელში პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედისათვის, შეიქმეს რევოლუციური იდეებით აღფრთოვანებინათ ხალხის მასები, საუკეთესო მომავლისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად დაერაზმათ ისინი.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებულმა უდიდესმა მიღწევებმა, რომლებითაც კუბის რესპუბლიკა ეგებება ყრილობას, ძირფესვიანად უცვალა სახე ქვეყანას. ეს მიღწევები საიმედო საძირკველია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისა, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისა.

თქვენმა ყრილობამ, ძვირფასო ამხანაგებო, უნდა მიიღოს უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დოკუმენტები პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგში, დასახოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანები უახლოესი დროისა და პერსპექტივისათვის. ყოველივე ამით განისაზღვრება მისი დიდი მნიშვნელობა როგორც თვით კუბისათვის, ისე მთელი კომუნისტური, რევოლუციურ განმათავისუფლებელი მოძრაობისთვისაც.

საბჭოთა კომუნისტები დარწმუნებული არიან, რომ ყრილობის გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს კუბის მუშათა კლასს, გლეხობასა და მშრომელი ინტელიგენციის შემდგომ შეკავშირებას თავიანთი კომუნისტური პარტიის გარშემო, სოციალიზმის დიადი საქმის ახალ წარმატებებს.

ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომპარტიას ერთნაირი შეხედულებები აქვთ თანამედროვეობის ყველა უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე. ჩვენი პარტიების ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის ულრმესი საფუძველია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გამოთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ურღვევი კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

წლითა წლობით მტკიცდება კუბის მჭიდრო მეგობრობა და ძმური კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რასაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება. კუბის კომუნისტურ პარტიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, მთელი რევოლუციური და ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში. განუხრელად იზრდება საერთაშორისო ავტორიტეტი კუბის რესპუბლიკისა, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისათვის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პოლიტიკას.

ვუსურვებთ კუბელ კომუნისტებს, კუბის მთელ გმირ ხალხს ახალ მიღწევებს მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის, თავიანთი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის.

დაე, მტკიცდებოდეს საბჭოთა და კუბელი კომუნისტების ურღვევი ძმური მეგობრობა ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ინტერესებისათვის. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მსოფლიოს მთელი რევოლუციური, დემოკრატიული ძალების შემდგომი შეკავშირების ინტერესებისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ლენინური კურსით, სწორი გზით

საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს პარტიის XXV ყრილობისათვის

მეცნიერება — ხალხს

პროექტი 1976-1980 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა მეცნიერებას, სრულიად ბუნებრივად, მთავარს აკისრებს და მას საბჭოთა მეცნიერები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. პროექტი ითვალისწინებს მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას, სახალხო მეურნეობასთან მისი კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აგებაში მის უაღრესად დიდ როლს.

პროექტით აღფრთოვანებულები ალბათ გეოლოგებიც. ჩვენ გვეგულება შემდგომშიაც ახალი ბუნებრივი რესურსების გამოვლინება, ძებნა და მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენება, გეოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარება; გათვალისწინებულია: საბუფურთოოთ დედამიწის ქერქის ანუ დედამიწის ზედა მანტიის შესწავლა სასარგებლო წიაღისეულის ძებნისა და ფორმირების პროცესების და განლაგების კანონზომიერებათა კვლევის მიზნით“.

გეოლოგებისათვის წარსულში საოცნებო ეს საქმე მეათე ხუთწლედში რეალობად იქცევა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება გეოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. დედამიწის ქერქისა და დედამიწის მანტიის მომავალი შესწავლა უმთავრესად ზეღრმა (15-20 კმ) ბურღილების საშუალებით უნდა მოხდეს, რაც უდიდეს ტექნიკურ და გეოლოგიურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

დედამიწის რთული აგებულების გამო საჭირო გახდება როგორც ოკეანეების ფსკერის, ისე კონტინენტების ბურღვა, რადგან მათი აგებულება განსხვავებულია. ამ მიმართულების მეცნიერული კვლევები უფრო საინტერესო და ეფექტური გახდება.

ქართველი მეცნიერები, მთელ ხალხთან ერთად, ყველაფერს გაკეთებენ ამისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

პ. გამყრელიძე,
აკადემიკოსი, გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი.

ბევრ მეტი, ვიდრე დღეს

პრესაში გამოქვეყნდა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“, რომელშიც მთავარი ადგილი აქვს დათმობილი ელექტროტექნიკურ მრეწველობას. ამ დიდ დოკუმენტში ნაზღასტურებით არის აღნიშნული, რომ სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს დიდი თუ მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების, ელექტროაპარატურის და ამ ბაზის სხვა პროდუქციის გამოშვება. ეს პირდაპირ ეხება თბილისის სატელევიზიო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივს, რომელიც ძირითადად დაბალძაბვიან აპარატურას, ელექტრონული ელექტროფარებს, ელექტროტრანსფორმატორებს, ელექტრონულ-მგზავრებს, სადენალო არმატურას უშვებს.

ბევრი ხუთწლედი, შეიძლება ითქვას, გაერთიანების ჩამოყალიბების, ჩამოყალიბების ორგანიზაციის და ტექნოლოგიის სრულყოფის წლები იყო. და ამ ორმოცის ყველა უბანზე გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ. ჩვენს კოლექტივს ეამაყება, რომ ხუთწლიანი პროგრამა ვადაზე ადრე დავამთავრეთ და პროდუქციას მომავლის ანგარიშში ვაწვდით სამშობლოს.

მაგრამ გაერთიანებას მომავალი წინ აქვს. 1976-1980 წლები ახალი დიდი ეტაპი იქნება მის განვითარებაში, პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 219 პროცენტით, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ქარხნები 1980 წლისათვის 1975 წელთან შედარებით სამშობლოს მიაწვდიან 30 მილიონი მანეთით მეტ პროდუქციას.

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XV ყრილობების ამ წინა დღეებში ამ დიდმა დოკუმენტმა ჩვენს შეჯიბრებას ენთუზიაზმი შემატა.

ა. ხუროძე,
თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალური დირექტორი.

გიგანტი ენგურჰეს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში ითვალისწინებს:

საქართველოს სს რესპუბლიკაში ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება უზრუნველყოფილ იქნას ძირითადად კიდრო-ენერგორესურსების გამოყენების გზით, ელექტროენერგიის გამოშვებისა მომავალ ხუთწლედში უნდა გადიდდეს 1,5-ჯერ, უნდა დამთავრდეს ენგურის კიდროელექტროსადგურის მშენებლობა.



ციდი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან ენგურჰესის მშენებლები, რომლებმაც ახლახან მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს — ვადამდე დაამთავრეს გალის წყალსაცავში მდინარე ენგურის წყლის ნაწილის გადასადგენად საჭირო ჰიდროტექნიკური ნაგებობათა მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადასცეს იგი. ამით 30-ჯერ იზრდება ენგურის ვარდნილეხესების ელექტროენერგიის გამომუშავება.

ახლა ენგურჰესელთა მთავარი დამკვრელური ობიექტი თაღოვანი კაშხალის მშენებლობაა, სადაც სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების ცხარე დღეებია. კაშხალის ტანს ყოველდღიურად ემატება მტკიცე ბეტონის ახალ-ახალი ტონები. ხურათზე: ენგურის თაღოვანი კაშხალის მშენებლობის ხედი.

Ш. ფუტკარაძის ფოტო.

მხურვალედ ვუჭერთ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას!

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა სტოკჰოლმის ისტორიული მოწოდების 25 წლისთავისათვის გამოიხატა ახალი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა — მოუწოდა ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობას გამალონ მასობრივი ერთობლივი მოქმედება გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის.

სტოკჰოლმის ამ ახალ მოწოდებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი უფართოესმა საზოგადოებრივმა წრეებმა. მშვიდობის ეროვნულ მოძრაობათა მსოფლიო კონფერენციამ ლენინგრადში ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას და გამოაცხადა, რომ იწყებს მასობრივ კამპანიას მოწოდებაში წამოყენებული მოთხოვნების შესრულებისათვის.

მშვიდობის მოიმხრენი თავიანთ ქვეყნებში აწყობენ მიტინგებსა და კრებებს, თვალსაჩინო მოღვაწეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოსვლებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდების მხარდასაჭერად, აგროვებენ ხელმოწერას მოსახლეობაში.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი აცხადებს, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა სოლიდარობით ეკიდება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას, მზად არის პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს ამ ახალი მასობრივი მოძრაობის წარმატების უზრუნველყოფაში.

ჩვენი ქვეყანა წყვეტს კომუნისტური მშენებლობის დიდებულ ამოცანებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი საბჭოთა ხალხს ახალ გრანდიოზულ პერსპექტივებს უსახავენ. ამ გეგმების განხორციელებისათვის საჭიროა მტკიცე მშვიდობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, გამოხატავენ რა საბჭოთა ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი, ახორციელებენ აქტიურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, თანამიმდევრულად იჩენენ ინიციატივებს დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგვის ღონისძიებებით მისი შევსებისათვის. ამ წინადადებებს იწონებს და მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა, მთელი მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ აგრესიისა და რეაქციის ძალები კვლავ აქეზებენ გამალებულ შეიარაღებას, აიძულებენ ხატოს ქვეყნებს, რომ გაზარდონ სამხედრო ბიუჯეტები, გაადიდონ და სრულყონ სამხედრო პოტენციალი. არ აღმოფხვრილა ატომური იარაღის გავრცელების საფრთხე. არსებობს პრინციპულად ახალი, მასობრივი მოსპობის იარაღის კიდევ უფრო დამაგრეველ სახეობათა შექმნის საშიშროება.

მშვიდობისმოყვარე ძალების შეშფოთებას იწვევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაოისტ ჩალმძღვანელთა საქმიანობა, რომლებიც მხარში ამოუდგნენ იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიულ, რეაქციულ ძალებს და ცდილობენ ხელი შეუშალონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და მშვიდობის განმტკიცების ყოველგვარ ღონისძიებას.

გამალებული შეიარაღება სულ ახალ-ახალ ქვეყნებს ითრევს ომის მატერიალური მომზადების პროცესში. იგი ძირს უთხრის პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას, იწვევს საარსებო სოციალური და ეკონომიკური საპიროებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო გიგანტური რესურსების ფლანგვას.

დრო ვერ ითმენს! ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ალაგმონ ანტიჰუმანური, რეაქციული ძალები, იმოქმედონ ერთად კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის რწმენის ატმოსფეროს შექმნისათვის.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი გამოოქვამს მტკიცე რწმენას, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ კამპანიაში და კაცობრიობის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად დაძაბულობისა და განიარაღების მტრებს დაუპირისპირებს სოლიდარული მოქმედების უძლეველ ძალას.

ყველა სკკპ ცენტრალური კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო 16 დეკემბერს შეხვდნენ თათბირის მონაწილეებს — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებს პ. მლადენოვს, ო. ფიშერს, ს. ოლშოვსკის, ჯ. მაკოვესკუს, ფ. პუიას, ბ. ჰნოუპეკს.

საუბრის დროს შეეხნენ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას, კერძოდ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგების შესაბამისად, და სოციალისტური სახელმწიფოების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას მშვიდობის საკითხიდღეიდან ზეა სუპერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების ინტერესებისათვის.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი. (საკდესი).

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

15 დეკემბერს მოსკოვში დაიწყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი.

თათბირში მონაწილეობენ: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პუია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. მაკოვესკუ, სსრ კავშირის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნოუპეკი.

მინისტრთა ყურადღების ცენტრშია საერთაშორისო ვითარების, მათ შორის ევროპის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, რომლებიც საინტერესოა ამ ქვეყნებისათვის.

ამავე დღეს ა. ა. გრომიკომ სწადილი გამოთქვა სოციალისტური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების პატივსაცემად.

სადილმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

იდეოლოგიური კადრების უმნიშვნელოვანესი რგოლი

სრულვყოთ პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორთა მუშაობის სტილი და მეთოდები

პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ახალი გამოჩენებანი, ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით პარტიის XXV ყრილობისთვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებებში დასმული ამოცანები საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, აოფერთოვანებენ პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ახალი ალმავლობისათვის.

რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა მიმდინარეობს სკკპ XXV ყრილობისა და სკ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისათვის მზადების ნიშნით. საქართველოს შრომელები მოხდილი მოვალეობის გრძნობით აჯამებენ განვლილი გზის შეიგებებს. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მოსამსახურეების, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის უკლებლივ ყველა თენის ჭეშმარიტად გმირული შრომით. იდეოლოგიური თრონტის მუშაკთა უადრესად აქტიური მონაწილეობით ჩვენს რესპუბლიკაში მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი მეცხრე ხუთწლედის გეგმისა და ნაკლარი გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

პარტიის მიერ შეთე ხუთწლეულში დასახული გრანდიოზული ამოცანები, სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების მთელი მსვლელობა ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას და, უწინარეს ყოვლისა, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს. ეს მოთხოვნები, იდეოლოგიური მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები ორმად და შემოქმედებითად შემუშავებული, ზოსტად განსაზღვრულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, იდეოლოგიურ საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო დადგენილებებში, ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებსა და სხვა დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტებში. რომლებიც წარმოადგენენ იდეოლოგიური მუშაობის — კომუნიზმის შენებლობის ამ უმნიშვნელოვანესი ობნის ეფექტიანობის ამაღლებ მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბების უდიდეს გამოცდილებაზე დაყრდნობით. რომელიც აქვს ჩვენს პარტიას, უაორესად დაძაბულ პერიოდში—ყრილობიდან ყრილობამდე. უდიდესი მუშაობა გასწიეს, რათა გარდაექმნათ პოლიტიკური და ორგანიზაციორული საქმიანობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ჩვენი რესპუბლიკისთვის ისტორიული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა სულისკვეთებით.

ახლა ყველა საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ უკანასკნელ წლებში იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ზრდის შესახებ, ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების გეგმების განხორციელებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის ჯანსაღების შესახებ. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში ძალთა თანმეთანადობა შეიცვალა პარტიულობის. ორგანიზებულობის, დისციპლინის. სამართლიანობის სულისკვეთების სასარგებლოდ. მშრომელი ადამიანის ღირსების დამკვიდრების სასარგებლოდ. ჩვენი პროპაგანდის ზემოქმედების ძალა, მისი ეფექტიანობა უწინარეს ყოვლისა არის სიმართლე, რომელიც გამოხატავს ხალხის ნამდვილ ინტერესებს

იდეოლოგიური მუშაობის ლენინური პრინციპების აღორძავების ამ პირობებში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უფრო ეფექტიანად წარმართოთ, გაეფართოოთ და ახალ საფეხურზე აიყვანოთ პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური საქმიანობა. სრულყოთ მისი ფორმები და მეთოდები, ვაო წარმოოთ იგი მიზანდასახულად, გეგმაზომიერად, კონკრეტულად, პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანების გათვალისწინებით.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები, ინსტრუქტორთა შემადგენლობა ეფექტიანობის ზრდის, ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების გეგმების განხორციელებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის ჯანსაღების შესახებ. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში ძალთა თანმეთანადობა შეიცვალა პარტიულობის. ორგანიზებულობის, დისციპლინის. სამართლიანობის სულისკვეთების სასარგებლოდ. მშრომელი ადამიანის ღირსების დამკვიდრების სასარგებლოდ. ჩვენი პროპაგანდის ზემოქმედების ძალა, მისი ეფექტიანობა უწინარეს ყოვლისა არის სიმართლე, რომელიც გამოხატავს ხალხის ნამდვილ ინტერესებს

იდეოლოგიური მუშაობის ლენინური პრინციპების აღორძავების ამ პირობებში ეფექტიანობა ეანისაა უფრო ეფექტიანად წარმართოთ, გაეფართოოთ და ახალ საფეხურზე აიყვანოთ პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური საქმიანობა. სრულყოთ მისი ფორმები და მეთოდები, ვაო წარმოოთ იგი მიზანდასახულად, გეგმაზომიერად, კონკრეტულად, პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანების გათვალისწინებით.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები, ინსტრუქტორთა შემადგენლობა ეფექტიანობის ზრდის შესახებ, ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების გეგმების განხორციელებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის ჯანსაღების შესახებ. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში ძალთა თანმეთანადობა შეიცვალა პარტიულობის. ორგანიზებულობის, დისციპლინის. სამართლიანობის სულისკვეთების სასარგებლოდ. მშრომელი ადამიანის ღირსების დამკვიდრების სასარგებლოდ. ჩვენი პროპაგანდის ზემოქმედების ძალა, მისი ეფექტიანობა უწინარეს ყოვლისა არის სიმართლე, რომელიც გამოხატავს ხალხის ნამდვილ ინტერესებს

სრულვყოთ პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორთა მუშაობის სტილი და მეთოდები

დაც წყდება ყველა მისი გადაწყვეტილების შესრულების ბედი. სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის საოლქო. საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორების დასახმარებლად რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენციაზე განიხილეს არა მარტო პარტიული კომიტეტების, მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების, არამედ პარტიული აპარატის თვითეული მუშაკის და, უწინარეს ყოველისა, ინსტრუქტორების იდეოლოგიური მუშაობის, იდეოლოგიური საქმიანობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ იდეოლოგიურ საკითხებზე მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ იდეოლოგიური მუშაობის საქმიანობა და მეთოდები სრულყოფის აუცილებელი პირობაა მისადმი კომპლექსური მიდგომა, ყველა ideologიური დაწესებულების, უწყებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძალებისა და საშუალებების კოორდინაცია, სწორი დაგეგმვა, ძირითად მიმართულებათა და უმნიშვნელოვანესი პრობლემათა განსაზღვრის უნარი. იდეოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობა, უწინარეს ყოველისა, დამოკიდებულია იდეოლოგიური კადრების მომზადების დონეზე, საკითხებში ჩაწვდომის უნარზე, მათი ინფორმირებისა და კომპეტენტურობის დონეზე, ცოდნის გაფართოების უნარზე, მიზანმიმართულებასა და საქმის ერთგულებაზე. პარტიული კომიტეტების გადაწყვეტილებათა გულდასმით მომზადება, მათი შესრულებისადმი მუდმივი კონტროლი, მოწინავე გამოცდილების სისტემატური შესწავლა და დანერგვა, მჭიდრო კავშირი ცოცხალ სინამდვილესთან, სამეურნეო საქმიანობასთან, თვითეული შრომითი ოლექტივის სულიერ ცხოვრებასთან — ასეთია ინსტრუქტორის მუშაობის სტილის უმნიშვნელოვანესი ნიშნები. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მთელ საქმიანობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო იდეოლოგიური აქტივის მონაწილეობას, რომელიც იდეოლოგიური კადრების სიმდიდრე რეზერვია.

კონფერენციის მონაწილეებმა, მომხსენებლებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებს, ინსტრუქტორებს ასეთი ამოცანა დაუსახეს: ყველა ideologიურ დაწესებულებებში ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც ყველანი გამოიენენ მომთხოვნელობას თავის თავისა და სხვებისადმი, არ დასჯერდებიან მიღწეულს, გამსჭვალული იქნებიან ნამდვილი ამხანაგობისა და ხალბის სულისკვეთებით. ამ ატმოსფეროს მხურვალედ და დიდი ინტერესით უჭერენ მხარს მშრომელები, რასაც მოწმობს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან შექმნილი საზოგადოებრივი ბჭის რესპუბლიკური საბჭოს მეტად სასარგებლო მუშაობის პირველი შედეგები, რომლებსაც მალალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა განყოფილებამ.

ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული კადრების სწავლების გასაუმჯობესებლად.

იდეოლოგიური საკითხების დაყენებისა და განხილვისადმი ზუსტად მეცნიერულმა, სისტემატურმა მიდგომამ განაპირობა იმ დადგენილებათა მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა, ადამიანურ ურთიერთობათა შესახებ და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბევრჯერ მწვავედ და გადაჭრით დააყენა საკითხი, რომ საჭიროა კიდევ უფრო სრულყოფთ მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური წრთობის მთელი ორგანიზაცია, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ამ მიზნით პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემა, ოპერატიულობისა და ზემოქმედების ძალით შეუცვლელი მასობრივი აგიტაციის საშუალებანი და სწორი ინფორმირებისა და მასებზე იდეური გავლენის სხვა ფორმები.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე გამოსულმა ამხანაგებმა თვალნათლივ გვიჩვენეს, რომ გაიზარდა იდეოლოგიური კადრების სიმზრდე და კომპეტენტურობა, პარტიის პოლიტიკისა და რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების გაგება, რომ მაღალია მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, შეუძლიათ დამოუკიდებლად გაანალიზონ ყველა მოვლენა, ფასი დაუდონ მათ ფორმალიზმია. კერძოდ, ბოგდანოვკის, წალკის, ხობის, ბერეთგეროიერთ სხვა რაიონში პოლიტიკური განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყების პირველ დღესაც კი ჩაიფლა პოლიტიკური მეცადინეობა ათობით პარტორგანიზაციაში იმის გამო, რომ არ გამოცხადდნენ პროპაგანდისტები და დაუდგენრობა გამოიჩინეს პარტორგანიზაციათა მდივნებმა. ჯერ კიდევ ყველა იდეოლოგიური მუშაკი როდი დგას თანამედროვე მოთხოვნების დონეზე.

პარტიის რაიონულმა, საქალაქო, საოლქო კომიტეტებმა უნდა ამაღლონ მომთხოვნელობა პროპაგანდისტიული კადრების შერჩევაში, ეს წმინდათაწმინდა საქმე ანდონ მხოლოდ მაღალი მორალური ავტორიტეტის მქონე, სერიოზულ და მუყაითი მუშაკს — იმათ, ვისაც ღრმა თეორიული, პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის გარდა, აქვს უნარი ღრმად გაიაზროს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, მეცნიერების, კულტურის, ტექნიკისა და ეკონომიკის საიტალნი, დეტალურად იცოდეს თავისი კოლექტივისა და პარტიული ორგანიზაციის ცხოვრება, გავლენას ახდენდეს თავის მსმენელთა აზრებსა და მოქმედებაზე. ეს შეეხება ჩვენს ლექტორებსა და ლექციური პროპაგანდისა და თვალსაჩინო აგიტაციის დონესაც.

აღმზრდელობითს დონისძიებათა ეროცელ კომპლექსში, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აზორციელებს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოლიტიკური, ინტერნაციონალური და ზნეობრივი აღზრდის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფას. ჩვენთვის სერიოზული გაკვეთილია უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამუშაოდან მოხსნილი და განთავისუფლებული ბევრი ხელმძღვანელის მორალური კრახი, რომლებიც მეშჩანობის ჭაობმა ჩაითრია. მათ ძვალრბილში ჰქონდათ გამჯდარი მომხმარებლური, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, შეპყრობილნი იყვნენ პირადი გამდიდრებისა და ფუფუნების წყურვილით, ინდივიდუალისტურად და ეგოცენტრულად ეკიდებოდნენ საზოგადოების ბედსა და ინტერესებს. ამიტომაა, რომ ასე შეგვტკივა გული კადრების აღსაზრდელად მიმდინარე მუშაობის მდგომარეობაზე, უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების, ideologიური მუშაკების აღზრდაზე, რომლებიც პირადი მაგალითით გაელინას უნდა ახდენდნენ სხვებზე. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ წარსულის რეციდივები ჯერ კიდევ გვხვდება. კერძოდ, ძალიან ძა სხვა ნეგატიურ მოვლენებს, საჭიროა, უკომპრომისო და შეურიგებელი ბრძოლა ეაწარმოოთ კარიერიზმის წინააღმდეგ.

შეცდომა იქნებოდა ჩაგვეთვალა, აღნიშნავდნენ მომხსენებელი. და ორატორები, რომ ideologიური ბრძოლა ბურეუაზიული ideologიისა და მორალის წინააღმდეგ წარმოებს მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე. კომუნისტური ზნეობის ისეთი ანტიპოდი, როგორიც არიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, მექრთამეები, სპეკულანტები. მოქთამხორები ხომ ბურეუაზიული თსიქოლოგიის, წარსულის გადმონაშთების მატარებლები არიან.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიული აპარატის ინსტრუქტორების — ideologიური კადრების უმნიშვნელოვანესი ამოცანები ისაბრა ideologიური მუშაკების წინაშე იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა კრებებზე და პრესაში უნდა განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“ და ოფიციალური პროექტი.

საჭიროა გამოვიუენოთ ideologიური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება — ლექციები, მოხსენებები, პოლიტიკური ინფორმაცია, საუბრები, კლუბები, თვალსაჩინო აგიტაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რათა თვითეულ მშრომელს გავაცნოთ ამ ღრმად მეცნიერული, ყოველმხრივ დამუშავებული და დასაბუთებული დოკუმენტის აზრი და შინაარსი, რომელიც დასაზღვა ხალხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის ასამაღლებლად კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელების მთავარი ამოცანა.

ideologიურ ფრონტზე ბრძოლა ეაწარმოოთ „საქმთავარსაპეციმინენტალმენის“ ობიექტებშიც და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებული დარღვევებია თელავის საკოლმეურნეო სამრეწველო მეცხოველეობის გაერთიანებაში (თავმჯდომარე ი. ჯავახიშვილი), „საქმთავარენერგოს“ ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ ახალციხის № 3 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში (უფროსი დ. თუმანიანი), საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქკომუნრემმშენის თბილისის სარემონტო-სამშენებელო უბანზე (უფროსი ნ. ჩიჩუა), სახოფლო მშენებლობის სამინისტროს თელავის № 22 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში (უფროსი გ. დევიძე), მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის ახალციხის № 21 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში (უფროსი ა. მურადიანი), საქმთავარმონტაჟსპეციმშენის ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოში (უფროსი ნ. ჯახუტაშვილი) და სხვ.

შეუწყნარებლად დიდი დაგვიანებით იყო გაკეთული ხელფასი მიმდინარე წლის 9 თვეში აფხაზეთის ასსრ 48 შემოწმებულ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში 195 შემთხვევაში, შესაბამისად, აჭარის ასსრ 8 საწარმოში — 37 შემთხვევაში, თბილისის 21 საწარმოში — 172 შემთხვევაში, ტყვარჩელის 10 საწარმოში — 61 შემთხვევაში, ქ. გორის 8 საწარმოში — 93 შემთხვევაში, ახალციხის რაიონის 11 საწარმოში — 111 შემთხვევაში, ზესტაფონის რაიონის 8 საწარმოში—110 შემთხვევაში, ონის რაიონის 9 საწარმოში — 165 შემთხვევაში და სხვ. სტატისტიკის გაკეთის ვადების დარღვევას აგზავნილი ჰქონდა თბილისის საბიბლიოთეკო ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, მარტყოფის მექანიზაციის, კასპის ინდუსტრიულ, ბათუმის ხუბტროპიკული კულტურების, ზესტაფონის სოფლის მეურნეობის, გორის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმებში და სხვ.

სამტრედიის რაიონს გომის მიმოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში და გურჯაანის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში მუშებს თვის პირველი ნახევრის ხელფასი ეძლევათ მეორე ნახევრის ხელფასთან ერთად. ვანის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში 1974 წლის ხელფასი 25 ათასი მანეთის ოდენობით შემოწმების დღისთვისაც კი არ იყო გაკეთული.

წინასაღდეგსასწაული დეკემბრში მუშებსა და მოსამსახურეებზე ხელფასი არ გაუცია კასპის რაიონის ხუთ საწარმოში (საკოლმეურნეობათაშორისო ტრესტში, ოკამის მექანიკური საბჭოთა მეურნეობაში, თიმოთის მიხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, კასპის რაიმრეწვიმმენატში, ავტოსატრანსპორტო საწარმოში და ინდუსტრიულ ტექნიკუმში), თბილისის 8 ობიექტში (პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“, ჭარხანა „ელექტრომედუნება“, სანმის ჭარხანა, „საქმტრიკოტაჟი“, № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმო, წინდის ფაბრიკა „კოწანისი“, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მრავალდარგობრივი კომბინატი).

ანალოგიური ფაქტები დადგენილი იყო აბრის ასსრ-ში, ქ. ტყიბულში, სამტრედიის, გურჯაანის და ჩოხატაურის რაიონებში.

ვახედავდეთ ეროვნული ეკონომიკის პერსპექტივას

ხულოს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

საქართველოს კომპარტიის ხულოს XXIII რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. დავითაძე, კამათში მონაწილეობა მიიღეს: ხულოს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა რ. შავაძემ, სხალთის კოლმეურნეობის მეთამბაქოეს ნ. ზაქარაძემ, ხიბაძირის სასოფლო ხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მიქელაძემ, ბათუმის სამკერვალო გაერთიანების ხულოს ფილიალის პარტბიუროს მდივანმა მ. თამარიძილაძემ, კომკავშირის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ბაბაშიძემ, ექიმმა ნ. შარაშიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. შაინიძემ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ლ. ხვიჩიამ და სხვებმა.

ხულო აჭარის ყველაზე მაღალმთიანი რაიონია. ბევრი სოფელი აქ ზღვის დონიდან 1500-1700 მეტრ სიმაღლეზეა გაშენებული და წლის ნახევარი ზამთარზე მოდის. მაგრამ ხულოელი შრომელი რიდი უშინდება ამ სიძნელეებს. შეუპოვრობამ და შრომისმოყვარეობამ მოუპოვა მას წარმატებები მიწასთან თუ ზეცასთან ჭიდილში.

